



ეკონომიკის მართვის ხარისხი და ეფექტიანობა

რეზიუმე

ლუარა გვაჯაია

სტუ-ს ასოცირებული პროფესორი
E-mail: luara.gvajia@mail.ru

სტატიაში განხილულია ეკონომიკის მართვის ხარისხის და ეფექტიანობის შინაარსი და მნიშვნელობა ეკონომიკის განვითარებისთვის. მართვის ხარისხზე მსჯელობა შეიძლება მხოლოდ მართვის ობიექტის მუშაობის ხარისხის შეფასების საფუძველზე, რაც განისაზღვრება მისი საქმიანობის პროდუქტის ხარისხით. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკის მართვის ხარისხი და ეფექტიანობა ვლინდება ეკონომიკური საქმიანობის მართვის პროცესების სახით, რომლებიც გვიჩვენებენ, თუ რამდენად აკმაყოფილებენ ისინი ქვეყნის ეკონომიკურ მოთხოვნებს, მოსახლეობის ცხოვრების მაღალი დონის უზრუნველყოფას.

პროდუქციის ხარისხის განსაზღვრისგან განსახვავებით მართვის ხარისხის შეფასება ხდება კრიტერიუმებით, რომლებიც ახასიათებენ გადაწყვეტილების მიღების ხარისხობრივ მხარეს და მართვის აპარატის მუშაკთა პროფესიონალიზმის დონეს. განხილულია მართვის ხარისხის შეფასების კრიტერიუმები, როგორიცაა, თვითშეფასება, ხელმძღვანელების მხრიდან შეფასება, დამკვეთების შეფასება, კოლეგიალური შეფასება.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკა, მართვა, ხარისხი, ეფექტიანობა, შეფასება, პროდუქტი, ობიექტი, სუბიექტი, კრიტერიუმები, პროფესიონალიზმი, მმართველობითი გადაწყვეტილება, შემსრულებელი, ხელმძღვანელი.

შესავალი

თანამედროვე ეტაპზე ეკონომიკის მართვის ხარისხის ამაღლებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იგი მთლიანობაში ასახავს მართვის პროცესების სრულყოფის დონეს „მართვის ხარისხის“ ცნების ჩამოყალიბება შეუძლებელია ნორმატიული მოთხოვნების, კონკრეტული მაჩვენებლების გათვალისწინებით, ისე როგორც ეს ხდება მატერიალური პროდუქტის ხარისხის შეფასებისას. მართვა - ეს ხომ არ არის მატერიალური პროდუქტი ის საქმიანობის სახეა, რომლის სპეციფიკური პროდუქტია მმართველობითი ზემოქმედება გადაწყვეტილების სახით. ამასთანავე მართვის უშუალო პროდუ-

ქტი წარმოდგენილია ინფორმაციის ფორმით, რომელიც მასზე მოთხოვნას აკმაყოფილებს სულ სხვა სახით, ვიდრე მატერიალურ-ნივთობრივი პროდუქტი, ვინაიდან ინფორმაციაზე მოთხოვნა არ შეიძლება გამოიხატოს ისეთი ცხადი ფორმით, როგორც ეს ხდება პროდუქციის, საქონლის, მომსახურების მოთხოვნის შემთხვევაში. მაგრამ მთავარი ის არის, რომ ინფორმაციული მმართველობითი პროდუქტი გადაწყვეტილების, დადგენილების, კანონების, ნორმატივების, პროგრამების, გეგმების სახით თავისთავად ვერ დააკმაყოფილებს და არც არის პირდაპირ გამიზნული ხალხის, საზოგადოების, ეკონომიკის საბოლოო მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის. მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ინფორმაცია გადავა მართვის ობიექტზე, რათა მან იმოქმედოს მართვის სუბიექტის მიერ განსაზღვრული მიმართულებებით, მართვის პროცესი გადადის მოთხოვნილი პროდუქტის შექმნის სტადიაზე, რომლის ხარისხი შეიძლება შეფასდეს იმის მიხედვით, თუ რამდენად დააკმაყოფილებს იგი დადგენილ მოთხოვნებს. წარმოიშობა მიზეზ-შედეგობრივი კავშირების მთელი ჯაჭვი: „მართვის ხარისხი - მართვის ობიექტის ფუნქციონირების და საქმიანობის ხარისხი - მართვის ობიექტის მიერ შექმნილი პროდუქტის ხარისხი“.

პირითაღი ტექსტი

მართვის ხარისხის ფორმირება უპირველესად ხდება მმართველობითი გადაწყვეტილებების გამოქვეყნებისას, რომლითაც მზადდება მმართველობითი ზემოქმედებანი ეკონომიკურ ობიექტზე მართვის საბოლოო რეზულტატის მიღებამდე. ამ სტადიაზე შედეგებზე წარმოდგენას გააჩნია მოლოდინის, პროგნოზის ხასიათი და ამიტომ დაბალია მათი გათვლის დონე; ასევე შეუძლებელია გათვალისწინებული იქნეს მოსამზადებელი გადაწყვეტილებების თანმდევი სოციალურ-ეკონომიკური პროცესები, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიოს მოსალოდნელი საბოლოო შედეგის შეცვლა.

ამ გარემოებების გამო მმართველობითი



გადაწყვეტილებების შემუშავებისა და მიღების შეფასებისას საჭირო ხდება მართვის ხარისხის ოპერირება სხვა კრიტერიუმებით, კერძოდ, თვით პროცესის თვისებების ამსახველი კრიტერიუმებით, რომლებიც ახასიათებენ გადაწყვეტილების მიღების ხარისხობრივ მხარეს და მართვის აპარატის მუშაკთა პროფესიონალიზმის დონეს. რა თქმაუნდა, გაითვალისწინება მოსალოდნელი შედეგებიც, მაგრამ მხოლოდ იმ წილად, რომლის გათვლა პროგნოზირებადია და ექვემდებარება გაანგარიშებებს, შესაძლებელია მათი მისაღება დროის გარკვეულ პერიოდთან. გაურკვევლობის ფაქტორი წინააღმდეგობაა მართვის ხარისხისა და მოსალოდნელი შედეგიანობის სრულ გაიგივებასთან.

აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ **მართვის ხარისხი განისაზღვრება იმ ზომით, რომლითაც ის წარმართავს ეკონომიკურ ობიექტებს და პროცესებს სოციალურ-ეკონომიკური მიზნების მისაღწევად ეკონომიკისა და საზოგადოების მოთხოვნების, ობიექტურად შექმნილი პირობების და შესაძლებლობების შესაბამისად. ამასთან ერთად, მართვის ხარისხი განისაზღვრება მმართველობითი საქმიანობის პროცესების ხარისხით, მართვის მეთოდების მეცნიერულობით, მართვის საშუალებების პროგრესულობით, მართვის აპარატის პროფესიონალიზმით.**

მართვის ხარისხის შეფასების განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე იყენებენ შეფასების სხვადასხვა სახეებს, როგორიცაა: **თვითშეფასება, ხელმძღვანელის მხრიდან შეფასება, დამკვეთის შეფასება, კოლეგიალური შეფასება.**

თვითშეფასების გარეშე წარმოუდგენელია ნებისმიერი მმართველობითი სამუშაოს ჩატარება, ასეთი საქმიანობა ყოველთვის მოიცავს ანალიზს და კონტროლს იმ პირის მხრიდან, რომელიც ასრულებს სამუშაოს. თვითკონტროლისა და თვითშეფასების გარეშე საუკეთესო გადაწყვეტილების ძიებისას არ ექნებოდა ადგილი გადაწყვეტილებათა ვარიანტების მომზადება-დაწუნება-გადარჩევას, ეს გადაწყვეტილებათა მომზადება-მიღების განუყოფელი შემადგენელია. თავისი ბუნებით და მნიშვნელობით საკუთარი სამუშაოს ხარისხის შეფასება – ეს არის დეტალური, მოცულობითი სამუშაო, ხოლო თუ მუშაკი მაღალი პროფესიონალური დონისაა, მაშინ თვითშეფასებაც იქნება მაღალკვალიფიციური და ღრმა. თვითშეფასების ტექნოლოგია ატარებს მთლიანად ინდივიდუალურ ხასიათს, მისი რეგლამენტირება და კონტროლი ძნელად მის-

აღწევია, შეფასების შედეგები ფიქსირდება ძირითადად მუშაკის მესხსიერებაში და მიუწვდომელია საერთო განხილვისათვის.

ხელმძღვანელების მხრიდან შეფასება - ითვალისწინებს იმას, რომ მართვის ორგანოების, პროექტების, პროგრამების ხელმძღვანელები პირადად აფასებენ შესრულებული სამუშაოს ხარისხს, ეყრდნობიან რა პირველ რიგში „შინაგანი“ შეფასების და განსჯის სისტემას, რომელთა პროცედურები არ არის რეგლამენტირებული. რამდენადაც ხელმძღვანელები გამოდიან ჩანაფიქრის შემოქმედის როლში, მათი შეფასება მმართველობითი გადაწყვეტილების შემუშავება-მიღებისას, ერთის მხრივ, წარმოადგენს თვისთ-შეფასებას და, მეორეს მხრივ, საკონტროლო-შემმოწმებელ შეფასებას დაქვემდებარებული მუშაკის მიერ შესრულებულ სამუშაოსთან მიმართებაში. ხელმძღვანელის შეფასებები ყოველთვის გაითვალისწინება პერიოდულად მიმდინარე მუშაკთა ატესტაციის დროს, სადაც მიიღება გადაწყვეტილება მუშაკის დაკავებულ თანამდებობაზე შესაბამისობის თუ დაწინაურების შესახებ.

შეფასებები დამკვეთების მხრიდან - სხვადასხვა სახის მმართველობითი სამუშაოები, დაკავშირებული კანონების და სხვა ნორმატიული აქტების, მმართველობითი გადაწყვეტილებების, პროგრამების, პროგნოზების, დასაბუთებების, ანალიტიკური მასალების მომზადებასთან, სრულდება გარეშე ორგანიზაციების დაკვეთით. ძირითადად ეს სამუშაოები ხორციელდება სახელშეკრულებო, საკონტრაქტო საწყისებზე ზემდგომი მართვის ორგანოების მითითებით. რამდენადაც დამკვეთი გამოდის შესრულებული სამუშაოს მომხმარებლის როლში, ხშირ შემთხვევაში მყიდველის როლშიც, მისი შეფასება განმსაზღვრელია სამუშაოს შემსრულებელთათვის.

კოლეგიალური შეფასება - მას მიეკუთვნება ჯგუფური, კოლეგიალური შეფასებები, რომლებიც ფორმირდება იმ პირთა ჯგუფისაგან, რომლებსაც გააჩნიათ რწმუნება მმართველობითი სამუშაოების შეფასებისა, ან დაინტერესებული არიან შეფასების ჩატარებით. იგი ხორციელდება ექსპერტების, მუდმივმოქმედი კომისიების, საბჭოების, კოლეგიების, სპეციალურად შექმნილი ჯგუფების კოლექტიური შეხედულების ფორმირების საფუძველზე. კოლეგიალურ შეფასებებს ყოფენ რამდენიმე ჯგუფად: ა) შეფასებები ზემდგომი ორგანოების მხრიდან, ბ) მუდმივმოქმედი კომისიების და საბჭოების შეფასებები გ) ექსპერტთა ჯგუფების შეფასებები, დ) სამუშაოების შემსრულებელი კოლექტივების



საწარმოო თათბირების შეფასებები, ე) შეფასება ფართო განხილვის საფუძველზე.

დემოკრატიზმის განვითარება-გაძლიერებისათვის მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში ტრადიციულ ხერხად იქცა ფართო მასების ჩართვა პროექტების განხილვაში. მმართველობითი პროექტების კოლექტიური, საერთო-სახალხო განხილვა კბადებს მრავალ შემოქმედებით წინადადებას გადაწყვეტილების ხარისხის გაუმჯობესების თაობაზე, მაგრამ ასეთი პროცესის ჩატარება საკმაოდ რთულია, მასზე შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს არაპროფესიონალთა მსჯელობამ და წინადადებებმა, პოლიტიკურმა დემაგოგებმა. კოლექტიური შეფასებას აგრეთვე გააჩნია ოპერატიულობის საკმაოდ დაბალი დონე, იგი თხოულობს მაღალ ორგანიზაციულ მომზადებას, დროის დიდ დანაკარგებს. ამიტომ ასეთი შეფასების საგანი ხდება მხოლოდ ფრიად მნიშვნელოვანი, მსხვილ მასშტაბიანი სამუშაოები. ინდივიდუალური შეფასებები მოწვეული ექსპერტების, კონტროლიორების, აუდიტორების მხრიდან გულისხმობს მართვის ხარისხის შეფასებაში იმ კონკრეტული სფეროს სპეციალისტების ჩართვას, რომელიც ექვემდებარება შეფასებას. ასეთი ხერხით შეფასების წარმოების საგანს წარმოადგენს საგარეო ექსპერტიზა.

მართვის ხარისხის კრიტერიუმები წარმოადგენს მაჩვენებელს, რომელიც ახასიათებს მმართველობითი საქმიანობის ხარისხობრივ თვისებებს და იძლევა ხარისხზე მსჯელობის საშუალებას. აქ უნდა გაიღოს საზღვარი მართველობითი საშუალებების მახასიათებელ მაჩვენებლებსა და ხარისხის კრიტერიუმებს შორის. მმართველობითი სამუშაოების მაჩვენებლების ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ სამუშაოს ნებისმიერი ნიშნები და თვისებები, რომლებიც ახასიათებენ მის მიზანს, დანიშნულებას, მეთოდებს და ჩატარების ორგანიზაციას, შესრულების ვადებს, შემსრულებელთა შემადგენლობას, მისაღწევ შედეგს, მის გამოყენებას, რესურსების ხარჯვის ეფექტიანობას, კავშირს სხვა სამუშაოების და სახეობების საქმიანობასთან. რა თქმა უნდა, ყველა ეს მაჩვენებელი არ გამოიყენება ხარისხის კრიტერიუმად. მათგან უნდა გამოიყოს ის მაჩვენებლები, რომლებიც უფრო მეტად ახასიათებენ სამუშაოს ხარისხობრივ თვისებებს. ხარისხის კრიტერიუმად კანონზომიერად მიიჩნევენ ისეთი მაჩვენებლების გამოყენებას, როგორიცაა, მიზანდასახულობა, მეცნიერული დასაბუთებულობა, პერსპექტიულობა, ეფექტიანობა. მიზანშეწონილად ითვლება მართვის ხარისხის დასადგენად სამი ჯგუფის კრიტერიუმების

გამოყოფა: 1 - მიზნობრივი კრიტერიუმები, 2 - მმართველობითი სამუშაოების მეთოდებისა და ორგანიზაციის ხარისხის კრიტერიუმი და 3 - სამუშაოთა რესურსული უზრუნველყოფის ხარისხის კრიტერიუმი.

მიზნობრივი კრიტერიუმები, თვით სახელწოდებიდან გამომდინარე, ახასიათებენ მართვის მიმართულებას ქვეყნის, რეგიონის, ორგანიზაციის წინაშე მდგარი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადასაწყვეტად. ისინი გამოხატავენ ასევე მართვის შედეგიანობას, მმართველობითი გადაწყვეტილებით დასმული ამოცანების მიღწევის შესაძლებლობას. ეს იქნება აქტუალობის და მნიშვნელობის, გეგმიური სამუშაოების საბოლოო შედეგების წონადობის, მოსალოდნელი შედეგების მიღების რეალობის, საიმედოობის განმსაზღვრელი კრიტერიუმები. აღნიშნულიდან გამომდინარე საქმე გვაქვს სხვადასხვა სახის მიზნობრივ კრიტერიუმთან. მათ შორის შეიძლება გამოიყოს მმართველობით სამუშაოთა მთავარი კრიტერიუმები, რომელთაც გააჩნიათ საკმაოდ ზოგადი ხასიათი იმ აზრით, რომ ისინი მისაღებია, როგორც მაკროეკონომიკური, ისე მიკროეკონომიკური მართვისათვის. ესენია მიზნობრივი ორიენტაციის, სოციალური მნიშვნელობის და სოციალური მიზნობრივი კრიტერიუმები.

მიზნობრივი ორიენტაციის კრიტერიუმები ახასიათებენ მართვის, მმართველობითი საქმიანობის მკვეთრად გამოხატულ მიმართულებას. მაკროეკონომიკურ მართვასთან მიმართებაში მიზნობრივი ორიენტაცია მუდამდებია მიზნებისა და ამოცანების სისტემის აგებაში, რომელთა გადაწყვეტისკენაა მიმართული მართვა, ორიენტირებულია მმართველობითი პროგრამები, მათ შორის სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების ჩატარების პროგრამები. მიკროეკონომიკურ დონეზე მართვისას მიზნობრივი ორიენტაცია ვლინდება დავალებების, დაკვეთების ფორმულირებაში სამართავი სამუშაოების შესასრულებლად, ხოლო მართვის ხარისხი ამაღდროულად ფასდება მართვის დაბალი დონის მიზნების შესაბამისობით მართვის უფრო მაღალი დონის მიზნებთან. ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენად ხარისხიანად არის ფორმულირებული მართვის მიზნები მაკროეკონომიკურ დონეზე.

სოციალური მნიშვნელობის კრიტერიუმები გვაძლევს განსჯის საშუალებას იმისა, თუ რა ზომით ემსახურება შემუშავებული საწარმო-ეკონომიკური ხასიათის გადაწყვეტილებები სოციალური ფაქტორების გაუმჯობესებას, შემოქმედებითი შრომის განვითარებას, თვით-



გამოხატვის შესაძლებლობათა გაფართოებას, სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფას და სხვა.

სოციალური მიზნობრივი კრიტერიუმები აფასებენ პიროვნებების, ოჯახის, სოციალური ჯგუფების, კოლექტივების, ადამიანთა რეგიონული ერთობის და მთლიანად საზოგადოების მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მდგომარეობას. ასეთი კრიტერიუმის სახით თეორიულად უნდა გაისინჯოს წარმოებისა და მატერიალური სიკეთეების მოხმარების დონეების დამოკიდებულება მიზნობრივ ნორმატივებთან - მოხმარების რაციონალურ ნორმებთან, ანუ დადგინდეს რაციონალური მოხმარებისა და რაციონალური უზრუნველყოფის დონეების მიახლოების ხარისხი.

მართვის ხარისხის შეფასებისას მიზანშეწონილია გამოყენებული იქნეს ისეთი კრიტერიუმები, რომელიც შეიძლება დადგინდეს მმართველობითი საქმიანობის განხორციელების პროცესში. ასეთს მიეკუთვნება **მართვის მეთოდებისა და ორგანიზაციის ხარისხის კრიტერიუმი**. ამ კრიტერიუმით შესაძლებელია მმართველობითი სამუშაოების ხერხების, მეთოდების, ტექნოლოგიის შეფასება. **მეთოდების** კრიტერიუმები ახასიათებენ მმართველობით საქმიანობაში გამოყენებულ სამუშაოთა შესრულების მეთოდებს, მათი მეთოდური უზრუნველყოფის თვისებებს. **ხარისხის** ტექნოლოგიური კრიტერიუმები მოიცავს გამოყენებული მეთოდების ტექნოლოგიურობის ხარისხის, ტექნოლოგიური სქემის სრულყოფის, დოკუმენტების შესრულებისა და გაფორმების ხარისხის მაჩვენებლებს. მართვის **ორგანიზაციული დონის** კრიტერიუმით დგინდება სამუშაოს შემსრულებელი ორგანოს სტრუქტურული წყობის ხარისხი, რომელიც ხასიათდება მთლიანად სამუშაოზე პასუხისმგებელი ხელმძღვანელით, ცალკეული განყოფილებების ხელმძღვანელებით, მართვის დონეების მიხედვით ფუნქციების ნათლად განაწილებით და ა.შ..

მართვის რესურსული უზრუნველყოფის ხარისხის კრიტერიუმი ითვალისწინებს შრომითი რესურსებით უზრუნველყოფის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, ფინანსური უზრუნველყოფის, ინფორმაციული უზრუნველყოფის, დროის რესურსების საკითხების შეფასებას.

მართვის შრომითი რესურსებით ანუ საკადრო უზრუნველყოფის კრიტერიუმი მოწოდებულია დაადგინოს პერსონალის სტრუქტურის შესაბამისად თუ რამდენად შეესაბამება მუშაკთა რაოდენობა თანამდებობების, სპეციალობის, მუშაობის პროფილის მიხედვით მიზნობრივ

დანიშნულებას. ასეთი კრიტერიუმის გამოყენებისას გაითვალისწინება სამუშაოს შესრულებაში მონაწილე მუშაკთა შემადგენლობის ანალიზი, ხელმძღვანელების, ძირითადი შემსრულებლების, ტექნიკური შემსრულებლების, საინფორმაციო სამსახურის და სხვა კატეგორიების გამოყოფით. ასევე ხდება მუშაკთა ხარისხობრივი უზრუნველყოფის დონის მიხედვით მათი შრომის ხარისხის შეფასება, ამ მაჩვენებელს კი განმსაზღვრელი როლი აკისრია მმართველობით მუშაობაში.

მოკლედ შევეხებით **მართვის ეფექტიანობას**, რომლის ზუსტი განსაზღვრის წესი მეცნიერებს ჯერ-ჯერობით არა აქვთ დადგენილი. ზოგიერთნი მას აიგივებენ ეფექტიან ხელმძღვანელობასთან, რაშიც გულისხმობენ ხელმძღვანელის ცოდნასა და უნარს, აღუძრას თანამშრომლებს (იძულებით ან დარწმუნებით) მაღალნაყოფიერი შრომის ინტერესი. საზღვარგარეთის სამეცნიერო ლიტერატურაში მენეჯმენტის მიმართულებით ხდება ერთგვარი გაიგივება „მართვის შედეგიანობის“ – „მართვის ეფექტიანობასთან“. ამ შემთხვევაში მართვის შედეგიანობას განმარტავენ მართვის ხარისხის ანალოგიურად, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წარმოადგენს მართვის შედეგს (რეზულტატს), რაც ხასიათდება მართვის სუბიექტის მიერ მართვის ობიექტზე ზემოქმედებით მიღებული შედეგით, ეფექტით. აქვე აღვნიშნავთ „ეფექტისა“ და „ეფექტიანობის“ ცნებების განსხვავებაზე: ეფექტი – ეს არის საქმიანობის შედეგი, ხოლო ეფექტიანობა განისაზღვრება როგორც ეფექტის დამოკიდებულება (ფარდობა) საჭირო რეზულტატის (ეფექტის) მისაღწევად დახარჯულ რესურსებთან, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, ეფექტიანობა – ეს არის ეფექტი მიღებული რესურსების დანახარჯის ერთეულზე. მაგრამ ზოგადად ასეთი მიდგომით ეკონომიკის მართვის ეფექტიანობის პრაქტიკული გაანგარიშება სიზუსტით ფაქტიურად შეუძლებელია, ვინაიდან საქმე გვაქვს მრავალმხრივი სოციალური და საწარმოო-ეკონომიკური მოთხოვნების პრობლემასთან, რომელთა დაყვანა ერთიან განზომილებაზე შეუძლებელი იქნება, ამასთან ძნელი ხდება გამოყოფა იმ შედეგებისა, რომელიც უშუალოდ მართვის ხარისხით არის განპირობებული. ვინაიდან ეს საკითხი თხოულობს შემდგომ მეცნიერულ კვლევას, დახვეწას, ჯერჯერობით შესაძლოდ მიიჩნევენ ეკონომიკის მართვის ეფექტიანობის გაანგარიშებას კლასიკური ფორმულით:

ეფექტიანობა = რეზულტატი/რეზულტატის მისაღებად გაწეული დანახარჯები.



დასკვნა

მართვის ხარისხზე მსჯელობა შეიძლება მხოლოდ მართვის ობიექტის მუშაობის ხარისხის შეფასების საფუძველზე, რაც შეიძლება განისაზღვროს მისი საქმიანობის პროდუქტის ხარისხით. ზოგადად ეკონომიკის მართვის ხარისხი ვლინდება ეკონომიკური საქმიანობის მართვის პროცესების და მისგან გამომდინარე საქმი-

ანობის ხარისხით, რომელიც ადასტურებს, თუ რამდენად აკამყოფილებს იგი ქვეყნის ეკონომიკურ მოთხოვნებს და უზრუნველყოფს მოსახლეობის ცხოვრების მაღალ დონეს. მართვის ეფექტიანობა კი წარმოადგენს მართვის შედეგს, რაც ხასიათდება მართვის სუბიექტის მიერ მართვის ობიექტზე ზემოქმედებით მიღებული შედეგით, ეფექტით, ანუ საქმიანობის საბოლოო შედეგით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ევგენი ბარათაშვილი, ლარისა თაკალანძე, ანზორ აბრალავა. მენეჯმენტი და ადმინისტრირება. თბილისი, 2007.
2. ანზორ აბრალავა, ლუარა გვაჯაია, რუსუდან ქუთათელაძე. საინოვაციო მენეჯმენტი. 2015.
3. ე. ბარათაშვილი, რ. ქუთათელაძე, ლ.

- გვაჯაია, გ. ყურაშვილი. საინვესტიციო მენეჯმენტი. თბილისი, 2011.
4. ნ. პაიჭაძე. პერსონალის მართვა. თბილისი. თსუ. 2003.
5. Б. А. Райзберг. Курс управления экономикой. Москва. 2003.
6. А.П. Агарков. Управление качеством. 2007.

QUALITY AND EFFICIENCY OF MANAGEMENT OF ECONOMY

LUARA GVAJIA – Associate Professor of GTU
E-mail: luara.gvajia@mail.ru

Summary

The article considers the essence and significance of quality and efficiency of management of economy for development of economy. We can discuss the quality of management on the basis of estimation of scale of influence upon management object and it is determined by quality of production of corresponding activity. Therefore, we can say that quality and efficiency of management of economy is revealed as the processes of management of economical activity. It shows whether these processes satisfy country's economical demands and guarantee good quality of life for population.

In difference from determination of quality of production, estimation of quality of management is based on criterions that are related to quality of decision-making process and level of professionalism of employees of management apparatus. The article considers criterions of estimation of quality of management, such as self-estimation, estimation of directors, estimation of customer, estimation of colleagues.

Keywords: management, quality, efficiency, estimation, production, object, subject, criterions, professionalism, management decision, executor, director, economy.